ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი - 59

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დაარსებიდან 59 წელი გავიდა. 30 ივნისს, 15:00 საათზე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართება მისი დაარსებისადმი მიძღვნილი ღონისძიება და ასევე სამეცნიერო ჟურნალ „მრავალთავის“ 25-ე ტომის პრეზენტაცია.

დაარსების დღიდან ცენტრი სამეცნიერო საქმიანობას ეწევა დღესდღეობით კი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დანიშნულება მრავალმხრივია. ის არის როგორც უდიდესი და უმნიშვნელოვანესი საცავი ქართული ხელნაწერებისა, ასევე უცხოენოვანი ხელნაწერი კოლექციების, საარქივო ფონდის და პირველნაბეჭდი წიგნებისა, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას. აქ დაცული ხელნაწერი მემკვიდრეობა დიდ სამსახურს უწევს და მომავლშიც გაუწევს ახალგაზრდა მკვლევრებს. გარდა ამისა ცენტრის კარი ღიაა კოლექციებით დაინტერესებული ადამიანებისათვის. ცენტრის მიერ განხორციელებულ საგამოფენო და საგანმანათლებლო პროექტებში უამრავი სკოლის მოსწავლე, სტუდენტი და უბრალოდ დაინტერესებული პირი იღებს მონაწილეობას. ისინი ეცნობიან ინელექტუალურ მემკვიდრეობას და უამრავ ინფორმაციას იღებენ ექსპონატების შესახებ.

1958 წლის 30 ივნისს პროფესორმა ილია აბულაძემ დაარსა ხელნაწერთა ინსტიტუტი - დღევანდელი კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ჩამოყალიბდა უმნიშვნელოვანესი ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური სკოლა. გამოიცა უამრავი და მრავალდარგოვანი ქართული საეკლესიო მწერლობის ძეგლები, დაარსდა აგიოგრაფიული ძეგლების სერია, მომზადდა ისტორიული საბუთების კორპუსული გამოცემები და მრავალი სხვა. ეს სამეცნიერო საქმიანობა დღემდე გრძელდება და ყოველწლიურად ემატება ნაშრომები ხელნაწერთა ცენტრის გამოცემების ნუსხას.

59 წლის იუბილე ეძღვნებათ ცენტრის დამაარსებლის ილია აბულაძის პირველმოწაფეებს, რომლებიც არიან ერთიანი მიზნებითა და ინტერესებით შეკავშირებული ადამიანები. რომლებმაც თავისი ცხოვრების უმეტესი წლები ამ შენობაში გაატარეს და უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართული სამეცნიერო სფეროს განვითარებაში.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
მარიამ ჯაბიძე
pr@manuscript.ac.ge; 577 977 199

ღონისძიებას ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი ზაზა აბაშიძე გახსნის. ღონისძიებას ასევე დაესწრებიან განათლებისა და მეცნიერების სამინისტორს კულტურის სამინისტროს, რუსთაველის სამეცნიერო ფონდის, ქალაქ თბილისის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები. ასევე სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები.

ასევე აღსაღნიშნავია რომ ამ დღეს ცენტრში გაიხსნება მაღაზია, სადაც მსურველები შეძლებენ ცენტრის გამოცემების შეძენას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
მარიამ ჯაბიძე
pr@manuscript.ac.ge; 577 977 199